ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №661710

ნომერი: AR1126722

თარიღი : 22.04.2013

გაცემის თარიღი : 26.04.2013

გაცნობის თარიღი : 26.04.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, შპს"დიოსკურია XXI საუკუნე"-სა და მწვანე ზოლს შორის./ ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირო, ხოშარაულის ქუჩა N29./ ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ხოშარაულის ქუჩის მიმდებარედ, (ნაკვ. 4/116) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავითი რობაქიძე პ/ნ 60002010784
- ქუთაისი ახალგაზრდობის II შეს. N 15 ბ. 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ, იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი:

–ვინაიდან აღნიშნული მიწის ნაკვეთი ყვება, სატრანსპორტო ზონა1–ში, სარეკრეაციო ზონა1–ში და საზოგადოებრივ საქმიან ზონა–2–ში, (იხ.დანართი), საჭიროა საპროექტო შენობა–ნაგებობა განთავსდეს საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2–ში, რადგან, ზემოთ აღნიშნულ ზონებში მსგავსი სახით მშენებლობა დაუშვებელია. შესაბამისად წარმოადგინეთ საკადასტრო რუკა საპროექტო არეალის დატანით, ან ასევე შესაძლებელია ჩვენს მიერ გადმოგზავნილ დანართზე მონიშნოთ საპროექტო შენობა–ნაგებობა.

– მოთხოვნის შინაარსის ტექსტში უნდა მიუთითოთ შენობა–ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება.

დამატებით გაცნობებთ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)–ში განაშენიანების დასაშვებ სახეობებს.

"საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2):

განაშენიანების მაღალი ინტენსივობის ზონა, მათ შორის კარკასი სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით;

ა) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობები:

•მრავალფუნქციური შენობა (დომინირებული სახეობა);

- იურიდიული კონსულტაცია;
- სანოტარო კანტორა;
- სასტუმრო;
- ჩაშენებული საზოგადოებრივი ტუალეტი;
- ღია ავტოსადგომი და ჩაშენებული გარაჟი;
- საერთო სარგებლობის მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომები.

ბ) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების დასაშვები სახეობები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას:

- დაწყებითი სკოლა;
- საშუალო სკოლა;
- საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულება;
- უმაღლესი სასწავლებელი;
- პოლიკლინიკა;
- კაზინო და სხვა აზარტული თამაშების ობიექტი;
- კიოსკი, დროებითი პავილიონი, საცალო ვაჭრობისა და მომსახურებისათვის;
- პოლიციისა და არასაუწყებო დაცვის განყოფილება;
- აეროსადგური;
- ავტოგასამართი სადგური საერთო სარგებლობის მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომის კომპლექსში;
- კომუნალური და საინჟინრო ტექნიკური ობიექტი;
- საკულტო შენობები და ნაგებობები."

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.